

გამ. „შინაური საქმეების“ რედაქციისა—
— № 8. —

მოსკოვის

პროფესორ ა. ყავარელისა.

ნათარგმნი

სინახ., თარ. „Церковные Ведомости“-დან,
1906 წლ.

მოწმობანი მე XVII—XVIII საუკ. ოფიციალურ
მიწერ-მოწერებისა საქართველოს (ივერიის)
ეკლესიის აგზოვეფალის შესახებ.

ჭუთა ისი

საქამბა ი. ზელაძისა.

1911



କରିବାକୁ

გამ. „შინაური საქმეების“ რედაქციისა.
— № 8. —

მოსენაცია

პროფესორ ა. ვაკირელისა.

ნითარ გ მ ნ ი

სინოდის ორგანის „Церковные Ведомости“ - დან,
1906 წლ.

მოწმობანი მე XVII-XVIII საუკ. თვიციციალურ
მიწერ-მოწერებისა საქართველოს (ივერიის)
ეკლესიის აგრძელებადის შესახვევა

— 2 —

ქუთაისი.

საქამბა ი. ხელაძისა.

1911



მოხსენება

პროფესორ ა. ცაგარელისა.

„სიცხოველე სარწმუნოებისა ქართველებში დიდია, რისგანაც წარმოსდგება მათი ერთგულება სრულიად რუსეთის ხელმწიფოს კარისაღმი და კეთილი განწყობილება რუსეთის ხალხისაღმი“.¹⁾ ასე ამბობს მოხსენება, წარდგენილი დედოფალ ეკატერინა მე II-ღმი უცხო ქვეყნების საქმეთა კოლეგიისაგან 1768 წ. ოსმალებთან პირველობის წინ, რომელშიდაც მონაწილეობის მიღებაზე დედოფალი საკუთარი წერილით იწვევდა საქართველოს მეფებს და ხალხს ²⁾.

1) სიგელები და სხვა ისტორიული საბუთის წერილები მე XVIII საუკუნისა, რომლებიც ეხებიან საქართველოს. პირველი ტომი 1768—1774 წ.-დი. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ა. ცაგარელის რედაქტორობით აქართველოს ქარტით 1771 წ. პეტერბგი 1891 წ. 6—9. გვ. (რუსულათ).

2) სათაური ამ. მოხსენებისა: „ბჭობა იმაზედ, თუ რა ლონისძიებით დაიყოლიონ ქართველნი მონაწილეების მიღებაზე ახლანდელ ოსმალეთის პორტასთან ომში, სიგელები, პირველი ტომი, 1 გ.

საქართველოს საეკლესიო საკითხის ბჭო-
ბაში საკუთარი ყურადღების ღირსია ის გარე-
მოება, რომ იმ დროის უმეტეს ცნობილ რუ-
სთა ოფიციალურ დამოწმებით, პირველათ, სი-
ცხოველე სარწმუნოებისა ქართველ ხალხში
მე XVIII საუკ. იყო დიდი, მაშასადამე, სარ-
წმუნოება მაშინ არ იყო დაცემული, რო-
გორც ზოგნი ეხლა ფიქრობენ, და მეორედ,
რომ ეს „დიდი სიცხოველე სარწმუნოებისა“
ითვლებოდა მაშინაც წყაროდ და მიზეზად
ქართველთა კეთილ-ნდობისა და განწყობილე-
ბისა რუსეთის ხელმწიფისა და ხალხისადმი,
ყველა კი ეს, ერთად აღებული, უჩვენებდა,
რომ მომავალ ძნელ ამში, თათრების წინააღ-
მდეგ საქართველოს მეფენი და ხალხი გაუწე-
ვენ რუსეთს დიდ შეწევნას და შველას, — რა-
შიდაც რუსეთი არ მოსტყუვდა.

ჩვეულებრივათ წარმოიდგენენ საქართვე-
ლოს რუსეთთან კავშირის შეკვრამდის, 1783
წ., როგორც დაჭრილს, გაცარცულს ავაზა-
კებისაგან და გადაგდებულს დიდ გზაზე, კაცს,
ვიდრე რუსეთმა, როგორც მოწყალე ჟამარი-
ტელმა, სიბრალულის გამო არ წაიყვანა ის და
არ განკურნა მისი ჭრილობანი³⁾)

³⁾ ერთმა სასულიერო წევრმა საქართველოს უწოდ
და „შმადური“, რადგანაც მას სურს აღადგინოს კანონიუ-
რი წესი თავის ავტოკეფალიურ ეკლესიის მართვა გამგეო-

ასეთი აზრი საქართველოზე, როდესაც
საგანს ახლო გავიკნოთ ვერ პოულობს დამ-
ტკრცებას ნამდვილ ოუს—ქართველთ დამო-
კიდებულებათა ისტორიაში.

საქართველოში მე XVIII საუკ. არა მა-
რტო „სიცხოველე სარწმუნოებისა რყო დიდი“,
არამედ ქართული სახელმწიფო იყო საკმაოდ
ძლიერი და შემძლებელი, რომ რუსეთს ეძებ-
ნა და ღირსეულად დაეფასებია მისი სამხედ-
რო შეწევნა და დაზმარება ოსმალებთან, სპარ-
სელებთან და კავკასიის მთიულებთან ამისთვის.

ბისა ეს ამტკიცებს მხოლოდ, რომ ამ მღვდელ-მთავარმა
ცუდათ იცის რუს—ქართველთ დამოკიდებულებათა
ისტორია: უკანასკნელი სამი საუკუნე რუსეთთან კავშირის
შეკვრამდი 1783 წ. საქართველოს დაპყრობაზე ცი-
ლობდენ მაჰმადიანთ სახელმწიფოები—სათათრები და
სპარსეთი, მე XVIII საუკუნეში-კი მათ მიემატა ქრისტია-
ნისარებელი რუსეთიც. რუსების სამმა გალაშქრებამ
(1722, 1770, 1796 წ.წ.) სპარსეთში და ოსმალეთში
ეს რქონა მტკიცე შედეგი, მიუწედავათ ამისა ქართ-
ველმ, მეფეებმა და ხალხმა ცხადათ მიიღეს. მხარე ქრის-
ტეანული სახელმწიფოსი და შესწყვიტეს საუკუნოებითი
კავშირი მაჰმადიან სახელმწიფოებთან. რუსეთი დადგა
მტკიცედ კავკა ეთის გადაღმა მხოლოდ მაშინ, როდესაც
საქართველომ მასპინძლურათ გაუსწია რუსის ჯარს თავისი
სახელმწიფოს საზღვრები. ამ საზორ, არა მარტო დამორ-
ჩილება კავკასიელ მთიულთა, რომლებიც აოხრებდე
რუსეთის განაპირა საზღვრებს, არამედ დაჭერა შეა აზისა
და კასპის ოლქისა რყო ზუნებრივი შედეგი ქართველ-

1750 წლამდე სათათრეთი და სპარსეთი დროებით იპყრობდენ საქართველოს არა შეპირებითი უფლებით, არამედ უფლებით დამპყრობელისა ანუ მძღვველისა; ხშირად, რომ დაეშორებინა რუსეთს, სპარსეთი მოსთხოვდა ხოლმე საქართველოს მეუკებს მაჰმადიანობის მიღებას, მაგრამ არ ეხებოდა უფლებას და განსაკუთრებულ მდგომარეობას საქართველოს ეკლესიისას; ასე იქცეოდნენ ერთ დროს არაბებიც და განსაკუთრებით მონგოლები, რომლებიც ამასთანავე ათავისუფლებდნენ ეკლესიებს და სამლენელოებას სახელმწიფო გადასახადებისაგან.. მე XVIII საუკ. მეორე ნახევრიდგან (სპარსეთის შაჰის ნადირის სიკვდილის შემდეგ 1748 წ.) საქართველოს სამეფონი ქართლისა და კახეთისა, გაყოფილნი მე XV საუკ. მეორე ნახევრიდგან, არა თუ ხელ ახლა შეერთდენ ერთ ძლიერ სახელმწიფო, არამედ

რუსთ 1783 წლის პირობის შეკრულებისა, თუ-კი რუსეთს არ შეეძლო, ან არ შეუძლია წაიწიოს უფრო წინ, ანუ მცირე აზიაში, ან სტამბოლის მხარისკენ,—ამაში რასაკვირველია, საქართველო არ არის დამნაშავე. რუსეთთან კავშირს საქართველომ შესწირა თავისი 20 საუკუნის სახელმწიფო და 15 საუკუნის ეკლესია, სარწმუნოება ჰქონება, და ხალხიც, როგორც ერი, დიდხანს არსებობას ვერ შესძლებს, რაღანაც „არა ჰურითა მხოლოდ ცხოველ იქმნების კაცი“. ახლა ვკითხოთ: ვინ ურის „უმაღური“ და ვინ რომელი „გა? ედნიერა“?

ქართველ მეფეთა თეიმურაზ და ირაკლის შემწეობით კიდევაც დაიპყრეს ორი სახანოები: განჯისა და ერევნისა, რომლებსაც, საქართველო ჰულობდა 1795 წლამდე, ე. ი. საქართველოზე თავდასხმამდი სასტიკი სპარსეთის ალი-მაგომეტ-ხანისა, რომელმაც დააკცია საფუძვლამდე თფილისი, რომლის დასაცველათ რუსეთიდგან არ იყო გამოგზავნილი არც ერთი მეომარი, მიუხედავათ შეპირებისა (სეპარატიული მუხლები 2—4). 1783 წლიდგან.

შეერთებული საქართველოს სამეფო არსებობდა თვით რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთებამდე 1801 წ. ასე, რომ რუსეთთან პირობის შეკვრის დროს 1783 წელს, საქართველოს სამეფოს ჰერიკი სრული სასულიერო და სამოქალაქო დამოუკიდებლობა. იურიდიულათ ეს დრო უნდა ითვლებოდეს ქვა კუთხედათ ჩვენ გამოძიებათა ეხლანდელ საქართველოს ეკლესიის საკითხში; ყევლა აქამდინ გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოს ეკლესიის ძველ დროზე აქვთ უფრო ისტორიული ხასიათი გასაკუნობათ ივერიის ეკლესიის ბედისა და მდგომარეობისა წარსულ საუკუნოებში. 1783 წლის რუსეთთ-ნ შეკრულმა პირობამ ნახა საქართველოს ეკლესია და სახელმწიფო სრულიად დამოუკიდებლათ. ამის დასამტკი-

ცუმლათ გვიცნათ რამდენიმე საბუთის. წერილები, რომელიც გვიხატავენ მდგომარეობას საქართველოს უკლესობისას, მის წარმომადგენელ — ქათალიკოსისა და საზოგადოთ საქართველოს სამღვდელოებისას. მე XVII—XVIII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს პფლობდენ დროებით თათრები და სპარსელები.

იმ დროიდგინ დაბეჭდილით ჯერ ცამეტამდე ოფიციალური საბუთის წიგნები, ფარმანები, ანუ ქმები სპარსეთის შეჭებისა და სათათრეთის სულთანებისა, დედანი რუსელი თარგმანით იხილე პირველ ტომში კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის გუჯრებში, გვ. 69 — 77, საიდგანაც მოკვეყვს შემდეგი მოკლუნებისა და სრულებრივი თრი ფარმანი:

1) ფარმანი სპარსეთის შაპის სეფისა (1627—1641) შაპი აბაზ დიდის შეილიშვილისა საქართველოს ქათალიკოსის (ზაქარიას) სახელზე მადლობის გამოცხადებით ღვინისა და მიმინოების გამოგზავნისათვის.

2) ფარმანი შაპი სულეიმანისა (1666—1694) ქათალიკოსის გადაყენებაზე მეფის — მამადიდის ნაზორ ალიხანისაღმი არა პატივის ცემისათვის და მის ადგილზე მეორე პირის ამორჩევაზე.

3) ბრძანება სათათრეთის სულთანის რედუქტ ფაშის სახელით ყ-დ უსამღვდელოები

დომენტის ქათალიკულის წოდების დაბრუნებაზე 1724 წლიდგან თფილისში.

4) ბრძანება სათათრეთის საქართველოს ქათალიკულის სამწყელოს შორის წესრეჩების დაწყარებაზე 1726 წლიდგან.

5) ფარმანი ნაღირ შავის საქართველოს ში ახალი ქათალიკულის დანიშნვაზე 1742 წლიდგან.

6) ფარმანი ნაღირ შავისა ჯსამლვდელოეს ანტონის სახელზე მის საქართველოს ქათალიკულის ხარისხში აყვანაზე 1744 წლიდგან.

7) ფარმანი უპარსეთის ასლან შავისა ანტონის საქართველოს ქათალიკულის ხარისხში დამტკიცებაზე 1747 წლიდგან.

8) ფარმანი შავი იბრაგიმისა ქათალიკული ანტონის სახელზე იმისათვის ტანსაცმელი (კა— ბა— ანაფორა) და სამოსელის ბოძებაზე 1748 წლიდგან.

9) ფარმანი იბრაგიმე შავისა ანტონი ქათალიკულის სახელზე, რომლითაც ქათალიკულის ნება ეძლევა მოუაროს და ისარგებლოს იმ სოფლებით, რომლებიც ჰბოძებია საქართველოს უკლესიას სხვა და სხვა დროს, 1748 წლიდგან.

ყველა ამ სპარსული და თათრული ფარმანები მტკიცდება არსებული ძეველის დრო

იდგან საქართველოში „საეკლესიო ჩვეულებანი, უფლებანი და უპირატესობანი საქართველოს ეკლესიისა და ომორჩეულ ქათალიკოსებისა“ და არ არის იქ არც ერთი სიტყვა მათ დამოკიდებულებაზე რომელიმე სასულიერო პირისაგან საქართველოს გარეშე. ხალხი, ე. ი. ეპისკოპოსები, კრებული და ერის კაცები, ირჩევენ ქათალიკოსს, — შაპი, ანუ სულთანი მას ამტკიცებს. მაგალითად მოვიყვანთ ორ ფარმანს — თათრულს ქათალიკოს დომენტის სახელზე 1724 წლიდგან, და სპარსულს ქათალიკოს ანტონის სახელზე 1744 წლიდგან.

დომენტი, ძმა მეფე ვახტანგ VI, იყო საქართველოს ქათალიკოსათ პეტრე დიდის გალაშქრების დროს სპარსეთისკენ 1721 წელს. პეტრეს მოკავშირე იყო ვახტანგი, რომელიც 30 ათასი ქართველ მეომრით მივიდა შემახიაში, მაგრამ პეტრე სათათრეთის მუქარის გამო, რომელმაც (საჭათრეთმა) ჩაშინ დაიჭირა თფილისი, ყარსი, შემახა, იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო დერბენტიდგან ასტრახანში და შემდეგ პეტერბურგში.

1724 წელს პეტრე დიდმა შეკურა პირობა ასმალეთთან, რომლის ძალითაც საქართველო, როგორც სხვა სათათრეთის ჯარისაგან დაცერილი აღგილები კავკასიაში, გადაეცა სათათრეთს, გარდა ვიწრო აღგილისა კასპის

ზღვის პირზე — მაზანდერონისა და ასტრივდისა, სადაც დარჩა რუსეთის ჯარი 11 წელიწადს. ამის შემდეგ საქართველოს მეფეს ვახტანგ VI, როგორც პეტრე დიდის მოკავშირეს, აღარ შეეძლო დარჩენილიყო საქართველოში; თავისი შინაუმებით და დიდი ამალით ის გავიდა რუსეთში და დაესახლა მოსკოვში. ვახტანგის ძმა, ქათალიკოსი დომენტი, რამოდენიმე ხანი იმალებოდა საქართველოში, შემდეგ წავრდა კონსტანტინოპოლიში, სიცდგანაც ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში წინანდელი ქათალიკოსის ხარისხით. აი ამ შემთხვევას ეხება ის საბუთის წერილი, რომელიც მე მაქვს განძრახვა. წავიკითხო. შესანიშნავია, რომ დომენტი ქათალიკოსის საქმის მოსარიგებლათ პორტას არ მიუმართავს ანტიოქიის პატრიარქისთვის, თუმცა ეს საპატრიარქო ოსმალეთის სახელმწიფოში იყო, როგორც ეხლაა და აქციგან ცხადათ სჩანს, ანტიოქიის პატრიარქიას მე XVII—XVIII საუკ. არ ქონდა არავითარი უფლება საქართველოს (ივერიის) ავტოკიფალურ ეკლესიაზე.

ბრძანება რედუქტი — ფაშისა სულთანის სახელით: „უპირატესო ქაისტიანთ სამლევლოებაში, ნამყოფო წინათ თფილისისა და კახეთის და აგრეთვე მთელ ქართველ ტომთა ქათალიკოსად, დომენტი, იყოს. შენი სახელი

ბედნიერი! შენ, მსგავსათ შენის ქმისა, შემც-
დარ ვახტანგ — ხანისა, გარემოცული შიშით,
რამოდენიმე ხანში იმალებული, ბოლოს ვერ
იპოვე, რა თავშესაფარი გარდა ჩრდილისა-
ქვეშე დიდებულისა, როგორც ცა, სულთანისა;
მიმართე მისს კარს თხოვნით შეწყალებაზე და
შენთვინ მინიჭებაზე ადრინდელი ხარისხისა, სა-
სულიერო წოდებისა ქართველ ტომთა შორის,
ამისათვის წავშალე ფიცარზე შენდობის კათ-
მით უწინდელი შენი შეცოდებანი და მოგანი-
ჭე შენ შეწყალება და დაგიბრუნე წოდება ქა-
თალიკოსისა და უპირველეს სასულიერო პა-
რისა ქართველ ტომისა თფილისში და კახეთ-
ში და მათგან დამოკიდებულ ქვეყნებში ამ
წოდების კუთვნილ უველა უფლებით; თქვენ
კი, საზოგადოთ მცხოვრებნო, თავადნო, და
მღვდელნო! საქართველოში უნდა იკნოთ
ხსენებული დომენტი თქვენ უპირველეს სასუ-
ლიერო პირით, უველა სასულიერო თქმები
შერაცხოთ მისვან დამოკიდებულათ, აძლიოთ
მას თქვენი ჩვეულებისა მებრ ძველის დროიდ-
გან არსებული შამოსავალი და მის თანამდე-
ბობაში არავინ არ ჩარიოთ. ასე ასრულებ-
დეთ შიშ ქვეშ პასუხის გებისა ურჩობისათ-
ვის. 1137 წელს, სიჯარა. (1724).

ფარმანი სპარსეთის ნადირ შაჰისა და
უსამღვდელოეს ანტონის სახელზე იმის საქარ-

თველოს ქათალიკოსის ხარისხში აყვანაზე:
„წყალობითა მაღლისა ღვთსა პრძანება გაიცა;
მისმა უმაღლესობაშ (აღმოსავლეთის), თაქართ-
ველოს და ქართლის ვალიშ (შავის მოადგი-
ლებ) ოეიმურაზ-ხანშა აუწყო ჩვენ უდიდებუ-
ლეს სახელმწიფოს წარჩინებულ პირთ, რომ
საქართველოს ქათალიკოსი გადიცვალა და
ხალხმა საზუგადო კრებაზე ღირსაღ სკნა ამ
ხარისხში პირველი ყდ უსამღვდელოესი ან-
ტონი, დისწული მისი უმაღლესობისა,
რომლითაც, მისი ცოდნის ქრისტიანულ სჯუ-
ლის დოლმატებით და როგორც პირველი
სამღვდელოებაში, ყველანი კმაყოფილი და
მადლიერი არიან და ოხოულობენ ჟმაზე
შუამღვმლობას; — რისთვისაც, თანახმად ხსე-
ნებულ ხანისა და საქართველოს მცხოვრებ-
ლების თხოვნისა, ავიყვანე რა უსამღვდელოე-
სი ანტონი, ამა წლის პირველ ნახევრიდან,
უმაღლეს ხარისხში ქათოლიკოსისა, დაუნიშნე
მე მას, მსგავსად წინანდელი ქათალიკოსებისა,
წელიწადში 6000 ნაღირის მანეთი, რომელიც
მივანდევ მას მიღლოს თავის საკადრის ხარჯათ
იქაურ მთავარ მართებელთაგან. ამ ხარისხში
აყვანის შემდევ ის ვალდებულია კეთილათ
მოაწესოს თავისი სამწყსო, ყველა მცხოვრებ-
თა დასაკმაყოფილებლათ და ჩვენი ქარის კე-
თილდღეობაზე და მარადისობაზე: ილოცოს.

ამასთანავე, ყველა თავადებს, მღვდლებს, დარბაისლებს და საქართველოს ხალხს ებრძანა ვალდებულათ იცნონ ის თავის ქათალიკთათ, სამღვდლოების თავად და ყველა სასულიერო საქმეებში უპირატესათ; რაზედაც ნაბრძანები აქვს უმთავრეს ჩემს დივნებს, ჩასწარონ დაფთარში. “
თვე რედაჭებ 1157 წ. ხიდაჯრა (1744 წ.).

ნაწილი წერილისა კახეთის მეფე თეიმურაზ I რუსეთის მეფე მიხაილ ფეოდორეს ძისადმი ¹⁾ 1639 წლიდგან შესახებ მდგომარეობისა საქართველოს ეკლესიისა და მის დამოკიდებულებისა სხვა ეკლესიებთან: „მე ვიბრძვი და ვომობ დღე და ღამე (აგარანთა წინააღმდეგ), სწერს თეიმურაზი, რომ არ დაიკარგოს და არ მოისპოს ჩემს დროს კეთილ-მსახურ მართლმადიდებელ ქრისტიანთა სარწმუნოება, რადგანაც დადგა უკანასკნელი დრო და თუ არ გვაქვს ჩვენ სრული საეკლესიო წესიერება, ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ არ გაეწყობა.

ჩვენ გვაქვს ბევრი ნაკლულევანება საეკლესიო წესიერებაში, მაგრამ ცოომილება ქრისტეს მართლმადიდებელ სარწმუნოებაში სრულიად არა გვაქვს, რადგან ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანთ გვწამს და თაყვანს ვცემთ.

¹⁾ მიწერ-მოწერა ქართველ მეფეთა რუსეთის მეფეებთან, გამოც. სამეცნიერო აკადემიისა, ბროსსეს. რედაჭ. 3. 1861 წ გვ. 7.

(მოჰყავს სიტყვები სიმეოლო სარწმუნოები-
დან); ჩვენ იმ თავითვე მივიღეთ ქრისტიანუ-
ლი სარწმუნოება მართლმადიდებელ რომაელ
(ბერძენთ) მეფეებისაგან და საღმრთო წერილი
ჩვენი და (წმ). ნათლისლება; პირველათ გვი-
ქადაგა ჩვენ წმ. ნინო ბერძენმა და ვინაიდგან
ახლა მართლმადიდებელი ქრისტიანენი ბერძნების
მეფეებათ აღარ არიან — ჩვენ გვყავს აქამდის 4
მართლმადიდებელი პატრიარქი, რომლებიც გვა-
ყენებინენ ჩვენ და გაგვამტკიცებდენ მართლმა-
დიდებელ ქრისტეს სჯულზე და მოდიოდნენ
ჩვენთან კონსტანტინოპოლის პატრიარქი უფა-
ლი ფეოლიპტი, ანტიოქიის უფალი ნეოფიტი,
იერუსალიმის უფალი თეოფანი. რამდენი მიტრო-
პოლიტები, რამდენი იღუმენები და საპატრიარ-
ქო არქიმანდრიტები მოდიოდენ და მოდიან
ჩვენთან ყოველს დღე წყალობის შესაკრებათ,
მაგრამ არც ერთს არ უნახავს რაიმე ცთომი-
ლება მართლმადიდებელ ჩვენ სარწმუნოებაში.
ახლა კი უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მოგვ-
ცა ჩვენ თქვენი მეფური უმაღლესობა თავათ
და დამტკიცებათ მართლმადიდებელ ქრისტეს
სჯულისა “...

გარდა აღმოსავლეთის პატრიარქებისა,
რომლებიც მოდიოდენ საქართველოში ხში-
რად, რუსეთის სასულიერო პირებიც ცდილობ-
დენ და ეჯერებინათ ქართველები, რომ მათ

დაუცვათ ცნობილი საეკლესიო წესები, შე-
თანხმებულნი რუსეთის ეკლესიის წესებთან;
ასე, მაგალ.. 1589 წ. წავიდა მოსკოვიდან
საქართველოში ელჩითავ. ზვენიგოროდსკი წე-
რილებით რუსეთის პატრიარქი იოანეს კახეთის
მეფე ალექსანდრესადმი და მატრიპოლიტ ნი-
კოლოზესადმი და წაიყოლა თან ნასწავლი კა-
ცები, საეკლესიო ჭურჭლები, წიგნები, ხატე-
ბი, საღებავები, მხატვრები... კახეთში ასრუ-
ლებდენ წირვა-ლოცვას და რუსები და ქარ-
თველები ცილობდენ კანკელების ფორმაზე,
ტრაპეზე, ოდიკზე, რომ ყველა ეკლესიებზე
არ იყო ჯვრები, რომ ძალიან ადრე აკურთ-
ხუდნენ ხოლმე ახალგაზრდა მღვდლებს და ეპის-
კოპოზებს და სხვა. ქართველები უპასუხებდენ,
რომ მათ დიდი ხანია მიიღეს ქრისტიანობა
კონსტანტინე მოციქულთა სწორის დროს და
რომ მათი საეკლესიო წესები ეთანხმებიან წე-
სებს და ჩვეულებებს საბერძნეთ — აღმოსავლე-
თის ეკლესიისას და სხვ. ერთი სიტყვით, მოსკ-
ლი აღმოსავლეთის პატრიარქებისა და მასწავ-
ლებელ პირთა ჩრდილოეთიდგან და მათი მო-
ლვაწეობა საქართველოში კიდევ არ ნიშნავს,
რომ საქართველოს ეკლესია იყო დამორჩილე-
ბული მე XVII—XVIII საუკ. რომელიმე გა-
რეშე სასულიერო იურისდიქციისგან თვითონ
ანტიოქიის პატრიარქის მაკარის სიტყვით, რო-

მელმაც მოიარა საქართველო მდ. XVII-
 მეორე ნახევარში: „აღრე (საქართველოს კუ-
 ლესია) იყო დამოკიდებული ანტონეტის პატ-
 რიარქისაგან, მაგრამ შემდეგ გახდა ავტოკე-
 ფალური და აღმოირჩია თავისი დამოუკიდე-
 ბელი ქათალიკოსი.“ ასე იწყებს ის თავის
 მოთხრობას საქართველოზე. (პრავოსლ. სობე-
 სელიკ. 1906 წ იანვ გვ. 115)

Q/172

გამოვარკვიეთ რა საზოგადოთ ზევით
 მოყვანილ საბუთების საფუძველზე მაჰმადიან
 სახელმწიფოების — სპარსეთის და სათათრეთის
 მე-XVII-XVIII საუკ. დამოკიდებულება სა-
 ქართველოს ეკლესიასთან, მივმართოთ ახლა
 საბუთებს, რომლებიც გვიხატავენ მდგომარეო-
 ბას ეკლესიისა და მისი წარმომადგენელი-ქათა-
 ლიკოსისას მას შემდეგ, რაც საქართველო, საერ-
 თაშორისო ხელშეკრულების ძალით, რომელიც
 შეჰქრეს იმპერიატრიცა ეკატერინა II და მეფე
 ირაკლი II 1783 წელს, ¹⁾ რომლის ძალით
 საქართველო შევიდა პირებობით დამოკიდებუ-
 ლებაში რესეტთან და საურთიერთო შეთანხ-
 მებით დაარსა საზიარო უფლებანი და მოვა-
 ლეობანი.

იმ დროს, როცა მეფე ირაკლი, შემაერ-
 თებელი თავის უფლების ქვეშ ქართლისა და

¹⁾ სრული გრებული რესეტის განონებისა გვ.
 1013 — 1017.

კახეთის სამეფოებისა და დამპურობელი განჯი-
სა და ერევნის ხანების საბრძანებელთა, იყო
უმაღლეს წერტილზე თავისის დიდებისა და
ძლიერებისა, აღტაცებული სურვილით თავის
წინამოადგილებისამებრ, რომ დაეახლოვოს
მჭიდროთ მართლმადიდებელ სახელმწიფოს, 30
დეკემბერს 1771 წ. გაგზავნა პეტერბურგში
დესპანი, შემდგარი ბატონის-შვილის ლეო-
ნისაგან და ქათალიკოსის ანტონისაგან, დიდი
ამაღლით სასულიერო და საერო პირთაგან და
ხელშეკრულების პროექტით, რომელშიდაც ის
განაცხადებდა პირობებს, რომელზედაც მას
ჰსურდა ეცნო თავის სამეფოზე მფარველობა
რუსეთის ხელმწიფებისა. ამ პროექტში ჩვენ
ვკითხულობთ სხვათა შორის ასეთ მუხლს: „ქა-
თალიკოსი დარჩეს უცვლელათ თვისავე წესსა“.
(სიგელები და სხ. I ტომი 143). მხოლოდ 1782
წ. შეუდგნენ ამ პირობის შეკვრას. პირობის
დედნის შესაღენათ ეკატერინა II გადასცა
ვიცე-კანცლერ გრ. ა. ა. ბეზბოროდკოს და
თავ. გ. ა. პოტემკინს სახელმძღვანელოთ
ბრძანება: „აზრი მისი უდიდებულესობისა იყო,
სწერს გრ. ბეზბოროდკო თავ. პოტემკინს,
რომ თქვენი უგანათლებულესობის შემწეობით
შეეკრა საქართველოს მეფეებთან (ირაკლი და
სოლომონთან) საკავშირო პირობის წერილი,
მოეხსენებია იგინი არა ქვეშევრდომებათ, არა-

მედ მოკავშირეებათ, მყოფათ რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ.“ შემდგომ შესახებ საქართველოს ეკლესიისა სწერს: „რომ ეს ხალხი (ქართველი) უკეთ დაუახლოოვოთ რუსეთს, ძლიერ სასარგებლოა მათი მღვდელმთავრის უწყება დაუძლეოთ ჩვენ სინოდს და არქიეპისკოპოზით მათი ქათალიკოსი შევრაცხოთ ღირსებით რუსეთის ეკლესიის პირველთა შორის. როდესაც სამღვდელოება მათი დაუკავშირდება სინოდს, მაშინ ამ მაგალითისამებრ რომის (ქათოლიკური) სამღვდელოებაც (საქართველოში) რუსეთიდგან მიიღებენ და ამით გათავდება მიწერ-მოწერა რომის (ავსტრიის). იმპერატორთან, რომლის მიზეზნიც არიან მისიონერები“²⁾.

ამ პირობის პროექტში, დაწერილში გრაფ, ბეჭბოროდკოსხელით, მე 8 მუხლიში თქმულია: „მისი იმპერატორებითი დიდებულება ინებებს, რომ ქათალიკოსი ანუ უპირველესი არქიეპისკოპოზი. მათი იყოს ადგილით და ღირსებით რუსეთის მღვდელმთავართ პირველ ხარისხში, მხოლოდ შემდეგ კიევისა, ნოვგოროდისა, მოსკოვისა და პეტერბურგისა და უპირატესობდეს ყველა მეორე ხარისხის არქიეპისკოპოზთა წინაშე.“³⁾ უკანასკნელ რედაქციაში კი ეს მე 8 მუხლი პირობისა ასეა: მისი დიდებულება ინებებს, რომ

²⁾ სიგელები II ტ I. ჩაწ. 31 გვ. II საწ. 37 გვ.

³⁾ სიგელები II, ტ. 2 ჩაწ. გვ. 37.

ქათალიკოსი, ანუ უმართებელები არქიეპისკოპოზი მათი (ქართველთა) იყოს ადგილით რუსეთის მღვდელ-მთავართა შორის მერვე ხარისხში, სახელდობრ შემდეგ ტობოლისა, და ყოვლად უმოწყალესად ებოძოს მას სამუდამოთ ტიტული უწმიდესი სინოდის წევრისა. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაზედ და დამოკიდებულებაზე რუსეთის სინოდთან, — ამაზე უნდა შედგეს მუხლები“⁴⁾).

ეს პირობა, შეკრული ორივე სამეფოების, რუსეთისა და საქართველოს მეფეებისაგან, თუმცა არ არის დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის ქათალიკოსის და უწ. სინოდის ხელის მოწერით, მაგრამ მაინც სცნობს ფაქტს საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიის არსებობისას და წინათვე დააგენს საკუთარი მუხლის შედგენას, რასაკვირველია, ეკლესიის კანონიურ განაჩენების საფუძველზე და ორივ ეკლესიების არჩეულ წარმომადგენელთ მონაწილეობით, რომ დაწესდეს, ასე რომ ვსოდეთ, *modus vivendi* ორ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, რომლებიც იმყოფებიან ერთ სახელმწიფოს კავშირში, რომელთაგან ერთს (რუსულს) მთელი საუკუნე არ ჰყოლია კანონიური წარმომადგენელი—პატრიარქი. შემდეგ თავ.

⁴⁾ ცალკე გამოცემა შირობის შეკრულებისა
173 წ. 8—9 გვ.

პოტემკინი, ამ პირობის უკანასკნელ რედაჭურიაში, დაუნიშნა რა „თატივბს უაღრესობის“ გამო მე-8 ადგილი რუსეთის ეკლესის მღვდელთ-მთავართა შორის, სახელდობრ შემდეგ ტობოლისა, ხელმძღვანელობდა, როგორც სჩანს, არა საზოგადო საეკლესიო, კანონიურ ქრონოლოგიით, გარნა მარტო გარეშე, მექანიკურ ქრონოლოგიით რუსული სამოქალაქო ისტორიიდგან, ე. ი. შემდეგ ყაზანის, ასტრახანის და ციმბირის სამეფოებისა მოჰყვება საქართველოს სამეფო და პატივის უაღრესობის გამო ეძღვავა მერვე ადგილი საქართველოს (ივერიის) ეკლესის წარმომადგენელს ქათალიკოსს.

შეცვლა ანუ დამატება მე-8 მუხლისა, როგორც მთელი პირობის შეკრულებისა შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ „ორივეს მხრივ თანხმობით“, როგორც განაცხადებს მე 12 მუხლი პირობისა: „ეს პირობა შეიკვრის სამარადისო დროსთვის და, თუ მიმჩნეულ იქნება საჭიროდ რაიმე შეიცვალოს ან დაემატოს საურთიერთო სარგებლობისათვის, ეს უნდა მოხდეს ორივეს მხრივ თანხმობის შემდეგ“.

შემდეგ, პეტერბურგში მოსრულმა ქართველმა ელჩებმა აპრილში 1801 წ. წარუდგინეს გარეგან საქმეთა სამინისტროს ვრცელი განცხადება საქართველოს მართველობაზე. მე-VI მუხლი ამ განცხადებისა ეხება მდგომა-

რეობის საქართველოს ეკლესიისას, სამღვდელოებისას და საეკლესიო მამულებისას, და იწყება ასე: „რადგან უპირატესი გვამი ახლა საქართველოს სამღვდელოებაში არის შვილი მეფე ირაკლისა – ანტონი, რომელსაც აქვს ძველებურ დადგენილების გამო ტიტული ქათალიკოსისა და არას ნაკურთხი არქიეპისკოპოზათ დედოფალ ეკატერინა მეორის მეფობის დროს მეფის სოფელში „ცარსკოე სელოში“ და წარგზავნ ღვა იქაურ სამღვდელოების მართებლად, დარჩეს ის იმ ლირსებაში და წოდებაში, როგორც სხვა ყველანი, თავიანთ ეპარქიებში, აგრეთვე არქიმანდრიტები და იღუმენები მათი კრებულით, დეკანოზები, მღვდლები, დიაკვნები და სხვა ეკლესიის მოსამსახურენი – თვითოვეული თავის წოდებაში და ადგილზე. ვინ არიან იგინი სახელდობ და ომდენია – ამაზედ მისვლისათანავე საქართველოში უქვეშოვრდომელესად უთუოდ მოგახსენეთ. მაგრამ რადგან განსვენებულმა უბრწყინვალესმა შეფერდა მისმა სამეფომ გთხოვათ, ხელი გაუმართოთ მათ სამოქალაქო და პოლიტიკური სამართალით, ჩვენ მივიღებთ კადნიერებას ამაზედ ვსთხოვოთ ჩვენს დიდებულს მეფეს, მისცეს უმაღლესი ბრძანება უწ. სინოდს, გამოგზავნოს ჩვენთან, ან ჩვენ შემდეგ, ერთი რუსეთის იმპერიის სამღვდელოთაგანი, ცოტა ხანით, არ-

ქიმანდრიტი ან ილუმენი, კაცი თავ-მდაბალი, საჩვენებლად წესისა, რომელიც რუსეთის ეკლესიაში იხმარება ძლევისა, ხელმწიფის მოსახსენებელ და სხვა საპატიო დღეების დღესასწაულობაზე“¹⁾.

როგორც სჩანს ამ მუხლებიდგან ქათალიკოსის მაგიერ ეგზარხოსის დანიშვნა სინოდისაგან აზრადაც არ მოსვლიათ არც ქართველ ელჩებს და არც მათ გამომგზავნელებს ჰეტერბურგში.

1810 წელს 12 თებერვლიდგან, მთავარმართებელი საქართველოში ღენერალი ტორმასოვი სწერს უწ. სინოდის ობერ-პროკურორს თავ. გოლიცინს: „თავი სამღვდელოებისა (საქართველოში) ქათალიკოსი-პატრიარქი ანტონი, შვილი ირაკლი მეფისა, ჭეშმარიტად არის კაცი იშვიათი თვისებისა და წესიერი, ყველასთვის სასურველი, მაგრამ დაუძლურებული და ძლიერ შეწუხებული სნეულებით, იმყოფება ზედგავლენის ქვეშ გულ-ფიცხელ და დაუდგრომელ სასულიერო პირთა, რომლებიც მას თავს ახვევია.“ შემდეგ ტორმასოვი აღიარებს-რა, რომ, „თუმცა არ აქვს უმაღლესი ბრძანება შესახებ ანტონი ქათალიკოსისა“, მაგრამ მიუხედავათ ამისა იძლევა წინადადებას „დაინიშნოს სინოდის ეგზარხოსი“ საქართვე-

1) სიგელები. II ტ. 2 ნაწ. 231 — 232 გვ.

ლოს ეკლესიის მართველად, ანტონი ქათალი-
კუსი კი დაჩრეს რუსეთში, სადაც ის წავიდა
ვ ნოემბერს 1810 წელს და დაენიშნოს მას
პენსია 6 ათასი მანეთი საქართველოს ეკლე-
სიის შემოსავლისაგან. (საბუთები კავკ. არქეოლ.
კომ. VI ტ. 147 გვ.).

ტორმასოვის ასეთ მოხსენებისა და ობერ-
პროკურორის თავ. გოლიცინის წინადადების
გამო, იყო შედგენილი შემდეგი „უძვეშევრ-
ლომილესი მოხსენება უწ. სინოდისა“. 1311
წელს. 1783 წელს, ნათქვამია მოხსენებაში,
როდესაც ირაკლი II, მეფემ ქართლისა და კა-
ხეთისა, აღიარა უმთავრესი ძალა და მფარვე-
ლობა რუსეთის სამპერატორო ტახტისა, მა-
შინ, დადგენილ კავშირის ოქმში მე-VIII მუხლ-
ში, სხვათა შორის ნათქვამია, რომ საქართვე-
ლოს ეკლესიის გამგეობაზე და დამოკიდებუ-
ლებაზე, რომელიც უნდა ჰქონდეს მას რუსე-
თის სინოდთან, იქნება შედგენილი საკუთარი
მუხლი“. შემდეგ ნათქვამია საქართველოში
სამოქალაქო მართველობის შემოღებაზე და
დასკვნის თანახმად ტორმასოვის აზრისა, სი-
ნოდის განჩინება: „იშოდოს მცხეთის მღვდელ-
მთავარი სინოდის ეგზარხოსად მთელი საქართ-
ველოისა და იყოს იგი უწ. სინოდის უწყების
ქვეშ.“ (საბუთები კავკ. არქ. კომ. VI ტ.
166 გვ.).

არც უშ. სინოდის „მოხსენებაში და არც
ლენ. ტორმასოვის წარდგინებაში არ არის
კვალი ისეთი საეკლესიო კანონებისა, რომლებიც
აღუკრძალავენ ერთ დამოუკიდებელ (ავტოკეფა-
ლურ) ეკლესიას დაემორჩილოს მეორეს, მისს
მსგავსს, მაგრამ სინოდი და ტორმასოვი მსჯე-
ლობენ ისე, რომ საქართველო სამოქალაქო
მხრივ დამორჩილებულია რუსეთს, მაშასადამე
საეკლესიო მხრივაც უნდა დაემორჩილოს რუ-
სეთის ეკლესიის სინოდის. ასეთი განკარგულე-
ბა სინოდისა არღვევს ბევრ საზოგადო — საეკლე-
სიო კანონებს, რომლებიც მტკიცეთ იცავენ
ხელუხლებლობას უფლებათა და ნებათა საე-
კლესიო ოლქებისა, პატრიარქებისა, ეპისკოპო-
სებისა და მღვდლებისა მათი სამრევლოებით.
რომ დაწესება უცხო ქვეყნის სამოქალაქო უფ-
ლებისა არ ამართლებს შემოღებას ამ მხარეში
უცხო ქვეყნის საეკლესიო მართველობისას,
სჩანს ყველასგან ცნობილის მე III მსოფლიო
(ეფუძოს) კრების მე XIII კანონისაგან შესახებ
კიპრის ეკლესიისა, რომელიც წარმოადგენს ანა-
ლოგიას საქართველოს ეკლესიასთან მე XIX
საუკ. და ჩვენ დღეებში, რაზედაც დაწვრი-
ლებით იქნება ქვევით ნათჭვამი.

უქაზებში პავლე I-ლისა 1801 წლიდგან
და ალექსანდრე I-ლისა 12 სექტემბრის იმ წლიდ-
განვე საქართველოში სამოქალაქო მმართველო-

ბის შემოღებაზე — ვერცერთ სიტყვას ვერ ვპო-
ულობთ საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკ-
ლესიასთან შეერთებაზე ან დამორჩილებაზე წი-
ნააღმდეგ ამისა, მაგ., ალექ ანდრე I მანიფესტიში
ნაუწყებია, რომ „თვითოვეული (საქართველო-
ში) დარჩება განსხვავებულებითა მდგრმარეო-
ობისა თვისისა, თავისუფლად აღმასარებელი
თავის სარწმუნოებისა და თავის საკუთრებისა
ხელ-უხლებლად“. მე 12 მუხლი რუს — ქარ-
თველთ 1783 წლ. შეკრულ პირობისა აწესებს,
რომ ყოველგვარი გადაკეთება ამ პირობის
მუხლებისა უნდა მოხდეს „ორივე მხრივ თან-
ხმობის შემდეგ“. და ეს ამ შემთხვევაში არ
დაცულა. ამ უწმ. სინოდის უკანონო განკარ-
გულებით დაირღვა არამც თუ მსოფლიო და
აღგილობითი კრებების კანონები, არამედ გან-
ჩინებანი აღგილობრივ ქართულ ეკლესიისა-
ცა, აგრეოვე ქართული სამოქალაქო კანონე-
ბიცა, რომლებიც მოქმედებდენ მაშინ საქართვე-
თველოში. სენატის დადგენილების გამო, ირლვევა
სახელდობრ სჯულის — დება მეფე ვახტანგ VI,
რომელიც შეიცავს მთელს განყოფილებას ქა-
თალიკოსების კანონებისას, რომლებიც დაწვ-
რილებით სახლვრავენ მდგრმარეობას, უფლე-
ბას და უპირატესობას საქართველოს ეკლესი-
ისა და სამლენელოებისას. დამორჩილება ან
შეერთება საქართველოს ავტოკეფალურ ეკლე-

სიის ოლქისა არ შეიძლებოდა მომხდარიყო რუ-
სეთის ეკლესიის განკარგულების გამო, გარნა
უსათუოდ საჭირო იქნ ამისთვის ზაკრებულო
დადგენილება მთელი საქართველოს (ივერიის)
ეკლესიისა და ხალხისა, ე. ი. უმაღლესი სამ-
ღვდელოებისა, კრებულისა და მრევლისა და
თანხმობა მსოფლიო ეკლესიისა, რომლის წევ-
რადაც ითვლება ივერიის ეკლესია მე IV სა-
უკუნიდგან.

სამწუხაროა, რომ უწმ. სინოდი თავის „მოხსენებაში“ უმაღლეს სახელზე სრუ-
ლიად არ იხსენიებს ამ შეურყეველ საეკლესიო
და სამოქალაქო კანონიურ საფუძვლებს, რომ-
ლებიც უკრძალავენ ერთ დამოუკიდებელ ეკ-
ლესიას და მეტადრე უძველესს დაემორჩილოს
მეორე ეკლესიას. ასე, რომ ალექსანდრე კურ-
თხეულს, მეტათ გამსჭვალულს სიმართლით
და სჯულიერებით ერგო წილათ ხელი შეეხო,
წინააღმდეგ საეკლესიო კანონებისა, საქართ-
ველოს დამოუკიდებელ ეკლესიისათვის, რო-
მელიც ამის შემდეგ ჩავარდა იმ გახრწნილ
მდგომარეობაში, რომელსაც ეხლა ჩვენ ყველა
ვხედავთ.

თვით სიტყვები „უნდა დაინიშნოს სინო-
დის ეგზარხოსად მცოდნე საეკლესიო წესებისა,
რომლებიც სრულდება რუსეთში“ — იმ განზ-
რახვით, რომ მიიღონ იგინი საქართველოს

ეკლესიის წესებში აგრეთვე უკანონოა, რადგა-
ნაც ეწინაამღდეგება საეკლესიო კანონებს.
(VII კან. ნიკეას კრებისა „უნდა დაცულ იქ-
მნეს ძველნი ჩვეულებანი“). რა სახით შეეძლო
ქართულ ეკლესიას, დაარსებულს მე IV საუ-
კუნეში, საუკუნოების განმავლობაში თავის
ადგილობრივ კრებებზე კანონებისა, ჩვეულებისა
და გარდამოცემათა დამდგენელს, მსოფლიო და
ადგილობრივ კრებებში მონაწილეობის მიმღე-
ბელს, მათთან ერთად ყველა მართლ-მადიდებელ
ეკლესიებისათვის სავალდებულო კანონების
დამწესებელს, ასეთ ეკლესიას, ყოფილს
საუკუნოების განმავლობაში თავისებურ ტერი-
ტორიალურ (გეოგრაფიულ), ეტნოგრაფიულ
და ისტორიულ პირობებში, 1811 წელს შე-
ეთვისებია ერთბაშათ წესები ეკლესიისა, დამ-
ყარებულისა მე XI საუკ., შემდეგ ეკლესიების
განყოფისა? — ეს შერევა ნაცნობისა და უც-
ნობისა, თავისა და სხვისა, ძველისა და ახლისა
გახდა მიზეზად იმ შერყევისა და ღილვისა
ერის გრძნობაში, რომლის შედეგსაც ეხლა
იცდის საქართველოს ეკლესია და მისი სამწ-
ყო. ასე რომ აზრი საქართველოს ეკლესი-
ის რუსეთის ეკლესიის მსგავსათ მოწყობისა
არის უკანონო არა შესაწყნარებელი. რომ
არ ვიყოთ მხოლოდ სიტყვის მოქმედნი, მო-
ვიყვანოთ რამოდენიმე ფაქტი საზოგადო საეკ-

კლესიონ კანონების და საქართველოს საეკლესიო წეს-რიგის დარღვევისა, და რუსეთის ეკლესიის წესების საქართველოს ეკლესიის მართველობაში შემოღებისა:

1) გაუქმება ძველი ივერიის საქათალიკოსობის, როგორც დამოუკიდებელ საეკლესიო ოლქისა და მსოფლიო ეკლესიის მწევრისა, ხარისხის ჩამორთმევა და ძალ-დატანებით გაგზავნა რუსეთში, თვინიერ კრების დადგენილებისა, გამოკითხვისა და გამოძიებისა, სიკვდილამდის ქათალიკოსად აღმორჩეულ ანტონი II, მეფის შვილისა და „კაცის იშვიათის თვისებისა და ქცევისა, ყველასაგან პატოცუმულისა“, დაბადებიდგან 46 წლისა, რუსეთში კიდევ 19 წლის გადატგომაში გამტარებელისა—მოქმედება, დამარღვეველი ბევრი კერძო და საერთო საეკლესიო დადგენილებისა. (V და XVII კან. სარდიკ. კრებ., IV კან. ანტონქ. კრებ.)

2) ეკსპროპრიაცია ანუ საეკლესიო მამულების ჩამორთმევა (გარდა მამულებისა, საქართველოს მეფეთა და დიდებულთაგან ათონს, იერუსალიმს, სინას და სხვ. მინიჭებულებისა), რაც მკაცრათ არი აღკრძალული მსოფლიო საეკლესიო და საქართველოს საეკლესიო—სამოქალაქო კანონებისაგან. (24—25 კან. ანტონქ. კრებ.).

3) გაუქმება საქართველოს ეკლესიის აღ-
გილობით კრებათა მთელ მე XIX საუკუნის
განმავლობაში წინააღმდეგ კანონებისა: 37
მოციქ. კრებ. 5 კან. ნიკეას კრებ., 20 კან.
ანტიოქ კრებ. 17 (27), 73 (84), 76 (87),
95 (106) კართაგ. კრებ., 8 კან. ტრულ.
კრებ. 6 კან. ნიკეას 1 კრებ. და 40 ლაო-
დიკ. კრებ., ეს კანონები აწესებენ კრებების
მოწვევას და მათზე ეპისკოპოსების დასწრებას.

4) დღესასწაულობა რუსეთის ეკლესიის
წმინდათა დღეებისა თვინიერ საქართველოს
ეკლესიის კრების დადგენილებისა და არა დღე-
სასწაულობა ზოგიერთ საქართველოს წმიდათა
დღეებისა, უმეტეს პატივცემულ ხატთა, (რა-
ზედაც იყო ლაპარაკი მე II განყოფილებაში)
და ტაძართა: მაგალ., 1905 წელს შემოდგო-
მაზე, მე განგებ დავრჩი თფილისში, რომ ოქ-
ტომბრის 1-ს დავსწრებოდი მცხეთის სობოროს
ტაძრის დღესასწაულზე, ამ ქრისტიანობის
აკვნისას საქართველოში, ადგილისა მირონ —
მდინარე სვეტისა, ცხოველის უფლის კვართისა,
მაგრამ იქ, ჩემდა გასაოცრად, ეპისკოპოსის
წირვა არ ყოფილა (მე მითხვეს, რომ 1906
წელშიდაც არ იყოვო), სამი ეპისკოპოსი და
მათ რიცხვში ეგზარხოსიც იყვნენ მაშინ თფი-
ლისში... მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუკი
ეგზარხოსს ნება დაერთო ქართველი ეპისკო-

პოსები დიდის სიხარულით წავიდოდენ საწი-
რავათ მცხეთაში, რომელიც მდებარეობს თფი-
ლისიდგან ოც ვერსზე, სადაც შეიძლება მო-
გზაურობა რკინის გზით შეუწუხებლად, რო-
გორც პეტებურგიდგან პეტერგოფში, ან ცარ-
სკოე სელოში; ძველათ-კი საქართველოს ქა-
თალიკოსები მოგზაურობდენ მცხეთაში დღე-
სასწაულის წინა დღეს დიდის ამაღლით და ფსალ-
მუნების გალობით; იქ იყრიდენ თავს სალო-
ცავად მოსულნი ყოველ საქართველოს კუთ-
ხიდგან; ეს იყო არა მარტო საეკლესიო დღე-
სასწაული „სვეტი ცხოველობა“, არამედ სა-
ყოველ-ხალხო დღესასწაული. უბრალო ხალხ
ჯერ არ შეუძლია თაყვანი სცეს ღმერთს მხო-
ლოდ „სულითა და ჭეშმარიტებითა,“ იმისათ-
ვის საჭიროა თაყვანი სცეს უფალსა იერუსა-
ლიმში ან ხარაზინში. ქართველი ხალხისათ-
ვის მცხეთის საკრებულო ტაძარი და მცხეთა-
არის იერუსალიმიც და სოლომონის ტაძარიც.
„დაიცავით ძველნი ჩვეულებანი“ — ეს ჩვეუ-
ლება საჭიროა დარჩეს სარწმუნოების გასაძლი-
ერებლად. ასეთი უყურადღებობა ხალხის პირ-
ველ ტაძრისადმი, ამდაბლებს რა მას ხალხის
თვალში, ასუსტებს მათში სარწმუნოებასაც და
არ უმატებს, რასაკვირველია, პატივისცემას
ეკლესიის წარმომადგენლებისადმი, ბომბების
შიში მიზეზი არ უნდა იყოს, — სარწმუნოება

განამტკიცეს და დაიცვეს საქართველოში ქრისტესთვის წამებულებისა.

5) არცოდნა საქართველოს ეგზარხოსებისაგან თავის სამწყსოის ენისა ჰედის მათთვის შეუძლებლად აღასრულონ ხალხისთვის გაუგებარ ენაზე, თვინიერ მთარგმნელისა, მათი ფრიადი მოვალეობანი, როგორიც არიან: მასწავლებლობა, მოძღვრობა, მღვდელ-მოქმედება და მართველობაც-კი. რუსეთმა, რომელიც 700 წელიწადი მიიღებდა. ხოლმე გამოგზავნილ მღვდელ-მთავრებს კონსტანტინეპოლის დგან, გამოსცადა, თუ რა შეუფერებელი იყო ეკლესიის მართველად უცხო ტომის და უცხო ენის მცოდნე მღვდელ-მთავარი. სიტყვიერი სამწყსო მისდევს იმ მწყემს, რომლის ენაც ეყურება.

6) თფილისის სასულიერო სემინირიაში, დაარსებულს 1817 წელში, და სასულიერო სასწავლებლებში საქართველოს საეგზარხოისა, რომლებიც ინახებიან ადგილობრივ საშვალებით და აქვთ მიზნათ მომზადება მწყემსითა საქართველოს ეკლესიისათვის, ყველა საგნებს, დაწესებულ პროგრამით, ასწავლიან რუსულ ენაზე, როგორც რუსულ სემინარიებში და სხვა სასწავლებლებში.

7) ეგზარხოსების განკარგულება, რომ მეტრიკის წიგნები იწერებოდეს მღვდლებისა-

გან რუსულ ენაზე, როდესაც საეგზარხოსოში არის, ოფიციალური სტატისტიკით, ასობით მღვდლები, რომელნიც არ ყოფილან სასული-ერო სასწავლებლებში, მაშასადასე არა მცოდ-ნენი რუსული ენისა,— არის ურგებ და მძიმე ტვირთად.

8) მეორე განკარგულება შესახებ „ვესტ-ნიკ გრუზინსკა-გო ეგზარხატა“-ს გამოცემისა მარტო ერთ რუსულ ენაზე, (როგორც იყო ეს აქნობამდის) — სრულებით გაუგებარია, რაღ-განაც მასში იბეჭდებიან ოფიციალურნი გან-კარგულებანი ეგზარხოსისა, სავალდებულონი მთელი სამღვდელოებისათვის, რომლის უმე-ტესობამაც სრულებით არ იცის რუსული ენა.

ორგანო კი იბეჭდება საეგზარხოსოს ხარ-ჯით.

ერთი სიტყვით „საქიროებისა ანუ სხვა-მიზეზების გამო, ბევრი რამ იქმნა არა თანა-ხმად საეკლესიო კანონებისა.“ (2 კან. I ნი-კეას მსოფლ. კრებ).

9) არა დაცვა საქართველოს საეკლესიო და სამოქალაქო კანონების დადგენილებისა, რომლებიც მაშინ მოქმედებდენ საქართველო-ში.

აი მოკლე დასკვნა საქართველოს (ივე-რიის (ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვისა 1)

ისტორიულის, 2) კანონიურის და 3) აღსრულების (პრაკტიკის) მხრივ.

ისტორიის მხრივ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღვიარება ანტიოქიის პატრიარქისგან, რომლისაგანაც ამას წინათ ის იყო დამოკიდებული, უეჭველია; თუმცა თვით დედანს ანტიოქიის საკრებულო დადგენილებისას ჩვენამდის არ მოუღწევია. ან არ არის ჯერ ნაპოვნი, როგორც ოქმები რამოდენიმე სხვა მსოფლიო კრებათა. მაგრამ უეჭველია, რომ ის არსებობდა. ეს სჩანს თანამედროვე ქართულ მოწმობათაგან (ეფრემ მცირე და სხვ.), აგრეთვე მე XII საუკ. მცხოვრებ შესანიშნავ კანონისტისა, ამხსნელისა და ანტიოქიის პატრიარქის ვალსამონის მოწმობისაგან (განმ. მე 8 კან. III მსოფლ. კრებ.). რომელიც, როგორც სჩანს, იყო კარგი მცოდნე საქართველოს ეკკლესიის საქმეებისა; ყოფა-ცხოვრებისა და წესებისა და რომლის ჩვენებასაც არა, გვაჭვს არავითარი საფუძველი, არ ვერწმუნოთ.

მეორე ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელმაც მე XVII საუკ. მეორე ნახევარში ორჯერ მოვლოც აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველო მოწყალების შესაკრეფათ (მოსკოვ. მიტროპ. მაკარი, ისტორია რუს. ეკლესიისა ტ. 12, 529 გვ.) მოწმობს აგრე-

თვე, რომ თავიდგან ივერიის ეკლესია ემორ-
ჩილებოდა ანტიოქიის პატრიარქიას, მაგრამ
შემდეგ შეიქმნა დამოუკიდებელი, აღმოარჩია
რა ქათალიკოსი. ეს რომ მომხდარიყო წინა-
აღმდეგ საეკლესიო კანონებისა, ანუ წინააღ-
მდეგ ანტიოქიის პატრიარქის ნებისა, პატრიარ-
ქი მაკარი უთუოდ აღნიშნავდა ამას, რადგა-
ნაც ის არამც თუ არ ესარჩელება საქართვე-
ლოს ეკლესიას, არამედ კიდევაც აზვიადებს
ნაკლულევანებათა შესახებ უწესოებისა, რო-
მელიც მის დროს სუფევდა საქართველოს ეკ-
ლესიის მართველობაში და სამწყსოში*). რაც
შეეხება მას, რომ პატრიარქი მაკარი, საქარ-
თველოში ყოფნის დროს, ადგილობრივი მო-
ხელუების ნებადართვით მოქმედებდა ხალხში,
როგორც უფლების მქონე, საჭიროა შევნი-
შნოთ, რომ პატრიარქები მათგან დამოუკიდე-

*) Ainsi commencé par dépendre du Patriarcat d' Antioche, ils (les Géorgiens) se sont élu, plus tard, un Catholicos et sont devenus indépendants. Histoire de la Convention des Géorgiens du Christianisme par le patr. Macaire d' Antioche d' Antioche. Trad, de l' Arabe par Mga de Lebedew. Roma 1905. არაბული ტექსტით, რო-
გორც პრაცოს. სობეჭედნ. წიგ. იანვ. და მა-
რტი 1906 წ.

ბელ 1 აეკლესიო ოლქებში ხშირად იქცეოდენ
ასე ძველი ჩვბულების გამო; ასე იქცეოდენ
იგინი რუსეთშიაც პატრიარქების დროს: „რო-
დესაც მოწვეულნი მოსკოვში პატრიარქი ნიკო-
ნის გასასამართლებლად აღმოსავლეთის პატრი-
არქები მოვიდნენ რუსეთში, იგინი რუსეთის
ნიადაგზე ფეხის შედგმისთანავე იქცეოდენ, რო-
გორც უმაღლესი უფლების მექონე რუსეთის ეკ-
ლესიაში ძალი, იღებდენ საჩივრებს, განაჩენ-
დენ სამართალს და სასჯელს, სჯიდნენ და
არიგებდენ (ნ. სუვოროვი. საეკლ. კან. კურსი.
ტ. I. 119 გვ. მაკარი. ისტორია რუს. ეკ-
ლესიისა). მოსკოვ, 1666—1667 წ. კრებაზე,
რომელზედაც დაისაჯა პატრ. ნიკონი, დაესწ-
რო ქართველი მიტროპოლიტი ეპიფანე, რო-
გორც წარმომადგენელი ერთი დამოუკიდე-
ბელი ეკლესიისა. (მაკარი, რუს. ეკლ. ისტო-
რია. 12 ტ. 67 გვ.)

სპარსეთის შაჰებისა და სათათრეთის სულ-
თანების ფარმანები აგრეთვე უეჭველად მო-
წმობენ, რომ მე XVII — XVIII საუკ. საქარ-
თველოს ეკლესია იყო სრულებით, დამოუკი-
დებელი რომელიმე საეკლესიო ძალისაგან
მისი ოლქის გარეშე. ქათალიკოსებს ირჩევ-
დენ ეპისკოპოზები, კრებული და ერის კაცები
და ამტკიცებდა მათ შაჰი, ან სულთანი იმ
პერიოდებში, როდესაც მათ, როგორც ხმლით

დამპურობელთ ეკუთნოდათ უფროსობა სა-
ქართველოში, დანარჩენ დროს-კი ამტკიცებ-
დენ მათ თვითონ საქართველოს მეფეები; მა-
გალ., 1764 წელში მეფე ირაკლიმ გამოიწვია
რუსეთიდგან ანტონი I და ალექსანდრე ის წი-
ნანდელ ქათალიკოსის უფლებებში; აგრეთვე
ანტონი მე II დაამტკიცა ქათალიკოს ხა-
რისხში 1790 წ. პირველის სიკვდილის შემ-
დეგ. ამ თანთ, 1783 წელს რუს—ქართველ-
თა პირობის შეკვრის დროს, შეერთებული
ქართლ-კახეთის სამეფო იყო სრულებით და-
მოუკიდებელი, როგორც საეკლესიო, ისე სა-
მოქალაქო მხრივ. ამ გარემოებას — აქვს გარ-
დამწყვეტი მნიშვნელობა ავტოკეფალიის სა-
კითხი! ათვის იურიდიული და კანონიური. იმის
გამოკვლევას-კი თუ რამდენი საუკუნეა, რაც
სარგებლობდა ის ავტოკეფალიით — აქვს მხო-
ლოდ ისტორიული ინტერესი და მნიშვნელო-
ბა. ხომ არავინ არ არის წინააღმდეგი რუსე-
თის ეკლესიის სურვილისა აღადგინოს თავი-
სი პატრიარქობა, თუმცა ეს ჰქონდა მას მხო-
ლოდ 111 წლის განმავლობაში. 1783 წლი-
დან 1810 წლამდის არ მომხდარა არავითარი
შეზღუდვა ან შემცირება უფლებათა და უაღ-
რესობათა ქათალიკოსის პატივისა და ძალისა
თვითონ საქართველოში, საქართველოს გარეთ-
კი რუსეთი, მღვდელ-მთავრის განსაგებელში.

პირობის მე 8 მუხლით ჰქონდა მას მინიჭებული მე 8 ადგილი, როგორც უპირატესობა ჰატივისა ავტოკეფალიურ ეკლესიათა ჩვეულებისამებრ, მსგავსად მისსა, როგორც რუსეთის ჰატრიარქი ჰქონდა აღმოსავლეთის ეკლესიათა მღვდელ-მთავრის განსაგებელში დანიშნული მეხუთე ადგილი, თანასწორათ სხვა ჰატრიარქებისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა: რომისა, კონტანტინეპოლი ა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა, რომლებიც, როგორც ეხლა, იყვნენ რულიად დამოუკიდებელნი ერთმანეთისაგან. ამ სახით, 27 წლის განმავლობაში, ქათალიკოსების ანტონი I და ანტონი II მართველობის დროს, დამოკიდებულებანი რუსეთის უწ. სინოდისა და საქართველოს დიკასტერის — ქათალიკოსით — შორის იყვნენ, როგორც თანასწორთა შორის: ქათალიკოსი იჩიცხებოდა მარტო სახელით უწ. სინოდის წევრად, გარეშე ყოვლისა დამოკიდებულებისა. კანონით-კი მას შეეძლო ყოფილიყო საპატიო თავმჯდომარეთ უწ. სინოდისა თანახმად მისის ხარისხისა, რადგანაც მას ეჭირა უფროსი ეჭისკოპოსის კათედრა უძველეს სატახტო ქალაქში (4—5 საუკ), რომელში-დაც ის ცხოვრობდა საეკლესიო კანონების ძალით.

1811 წელს ალექსანდრე I რეზოლუ-

ციით უწ. სინოდის და ლენ. ტორმასოვის მო-
ხსენების გამო ქათალიკოსი ანტონი II გაიგ-
ზავნა რუსეთში და იქ დაარჩინეს. იმის შემ-
დეგ ქათალიკოსი არ ამოირჩიეს და მართვე-
ლობა დაჭვრივებულ ივერიის ეკლესიისა მი-
ანდვეს რუსეთის უწმ. სინოდის ერთ წევრთა-
განს წოდებით „საქართველოს ეგზარხოსს“.
ასეთი წესი მართველობისა დღემდის დარჩა.
ამ სახით „საქართველოს ეგზარხოსები“ ითვ-
ლებოდენ ვითომ „მოადგილეთ“ საქართვე-
ლოს ქათალიკოსისა. ხშირად ძველად ეგზარ-
ხოსები იგზავნებოდენ დროებით, როგორც
პატრიარქების დელეგატები ანგარიშის გასინ-
ჯვისა, კანტროლისა და საეკლესიო საქმეების
წესიერებაში მოყვანილოვის. (კრასნოუენ. განმ-
მარტებელნი აღმოსავლეთის ეკლ. სჯულის კა-
ნონ. 1892 წ. 44 გვ.). საქართველოს ეგზარ-
ხოსს აქვს რამოდენიმე უაღრესობა და უფლე-
ბა შედარებით სხვა რუსეთის ეკლესიის მღვდელ-
მთავრებთანაც-კი, მაგალ. საეგზარხოსოს ეპი-
სკოპოსები მის მიერ შეეკითხებიან წერილობით
უწმ სინოდს. (სუვოროვ. საეკლ. სჯულ. კურ-
სი. აღმოს. ეკლეს. 1892 წ. 44 გვ.).

რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავ-
ტოკეფალია ისტორიულად უეჭველი ფაქტია,
კანონიური ახსნა ამ საკითხისა არის ცხადი და
ლოლიკური ყოველ კანონისტისათვის, უცხო

კაზუისტურ სოფისტიკისა. ხალხში ფრიადი სარწმუნოების დაცემისა და საეკლესიო ცხოვრების სრული დარღვევისა გამო, როგორც პირდაპირი შედეგის 1811 წლის რეფორმისა და რაღგანაც ახლა შესაძლებელია ხმა მაღლა იყოს განცხადებული ესა, საქართველოს სამღვდელოებამ და ერის კაცებმა მიმართეს რამოდენიმე აზრით სასულიერო და საერო უწყებათ, რომ აღდგენილ იქმნას ეგზარხოსობამდის არსებული წესი საქართველოს ეკკლესიის გამგეობისა, მსგავსათ მისა, როგორც რუსეთის ეკლესია უბრუნდება ეხლა პეტრემდის არსებულ წესებს, რომლებიც უფრო შეეფერებიან ეკლესიის მიზანსა და წესს პატრიარქის მართველობის ქვეშ. საერო უფლებამ უმაღლესი ბრძანების გამო გარდასცა ეს საკითხი განსახილველათ საეკლესიო კრებას, რომელიც არ შეკრებილა უმეტეს ორასი წლისა, და როგორც უმაღლესი კონტროლური ინსტანცია, ნახავს თუ არა, რომ სინოდის განკარგულება 1811 წლისა, შესახებ ძველი ივერიის საეკლესიო ოლქისა ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონებს და ხალხის სარგებლობას, და რომ ეს განკარგულება გამოიწვია „დროების საჭიროებამ“ — შეცვლის უწმ. სინოდის ამ დადგენილებას და დაუბრუნებს დაქვრივებულ ივერიის ეკლესიას ძველს საეკლესიო კაზუისტურ სოფისტიკისა.

ნონებით ხელ-უხლებელ ავტოკეფალიურ უფლებათა და უაღრესობათა. დამორჩილება რომელიმე ავტოკეფალიურ ეკლესიისა სხვა საეკლესიო ოლქის ქვეშ არის სრულიად უკანონო მოქმედება (8 კან. III მსოფლ. კრებ.); მაშასადამე, კანონიერი და სჯულიერი საეკლესიო გამგეობისთვის საჭიროა აღდგინდეს წინანდელი მართველობა ქათალიკოსისა.

ეს რეფორმა გამომდინარეობს პირდაპირ და ლოლიკურათ ყველა სახელმწიფოებში. შემოღებულ სამოქალაქო და სასულიერო რეფორმებისაგან, მაგალ. სარწმუნოების თავისუფლად აღიარების კანონისა*), რჯულსც რამდენიმე ძირითადი სახელმწიფოს წესები იყვნენ შეცვლილნი. უმაღლესის ბრძანების გამო მართლმადიდებელი ეკლესიის მართველობა

*) ბერდნიკოვი. „ახლანდელ დროში გამოცხადდა კანონი სარწმუნოების თავისუფლებაზე. ეს რჯული აწესებს, რომ აღდგინდეს ავტონომიური მართველობა მართლმადიდებელი ეკლესიისა, ავტონომიური მართველობა უნდა გახდეს მიზნათ განზრახულ საეკლესიო რეფორმებისა რუსეთში. ავტონომიაკი მდგომარეობს მასში, რომ მართველობა ერთი ადგილობითი ეკლესიისა არ იყოს დამოკიდებული მეორე ადგილობითი ეკლესიის მართველობაზე, აგრეთვე არც საერთ უფლებისა-გან. ავტონომიის უფლებასთან არის შეერთებული უფლება რჯულის მდებლობისა და თვით-მართველობისა“. (ცერკოვნ. ველომოს. № 21, 1906 წ.).

ბა უნდა დამყარდეს მკაცრ კანონიურ სა-
ფუძველზე, მაშასადამე, არ არის არავითარი
საფუძველი, რომ დამოკიდებული ეხლა უწმ.
სინოდისაგან საქართველოს ეკლესია დარჩეს
შემდეგშიაც დამოკიდებულ მდგომარეობაში.
თუ განზრახულია გაუქმდეს პეტრე დიდის „სა-
სულიერო რეგლამენტი“, ნუ თუ შეიძლება
ხელ-უხლებლათ დაიტოვოს ტორმასოვის პრო-
ეჭტი „ეგზარხოსის მართველობაზე“. ნუ თუ
პეტრე დიდს უფრო მცირედ სურდა „კეთილი“
რუსეთის ხალხისათვის, ვიდრე ღენერ. ტორ-
მასოვს ქართველთათვის? თუ-კი ორასი წლის
განმავლობაში, საეკლესიო რეფორმა გენიოსი
მონარხისა გახდა შეუფერებელი, დაძველებუ-
ლი, ნუ თუ საეკლესიო რეფორმა უბრალო
ღენერლისა უნდა შემდეგშიაც დარჩეს შეუ-
ცვლელად?!...

სახელმწიფოს შეუძლია თავის საზღვრებ-
ში დაადგინოს ეს თუ ის სამოქალაქო წესე-
ბი სხვა სახელმწიფოების დაუკითხავად, მაგრამ
ადგილობითი ეკლესიებმა თავიანთი რჯულთ-
მდებლობა უნდა შეათანხმონ მსოფლიო ეკ-
ლესიის რჯულთ-მდებლობას, თუ სურთ დარ-
ჩენ მის წევრებთ.

ამის გამო საჭიროა აღდგინდეს კანონიუ-
რი რიგი და მართველობა საქართველოს ეკ-
ლესიისა ძველი წესისამებრ, გადაჭუვა ქათა-

ლიკოსის საეკლესიო ოლქისა რუსეთის უკლე-
სიის სამიტროპოლიტო მაზრად კიდევ უფრო
დაარღვევს საეკლესიო კანონებს, ვიდრე გა-
დაჭუევა საქათალიკოსოს საეგზარხოსოდ (12
კან. IV მსოფლ. კრ. არისტინა: „ერთი ოლ-
ქი არ იყოფა ორ ოლქათ, ვინც-კი გაჰყოფს,
ის არ არის ეპისკოპოზი“).

რომ პრაქტიკული განხორციელება სა-
ქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლე-
ბისა უწინდელ გეოგრაფიულ და ეტნოგრა-
ფიულ ივერიის ეკლესიის საქათალიკოსო საზ-
ღვრებში შესაძლოა, — ამის შესახებ არ არის
არც ეჭვი და არც უძლეველი სიმელე, რად-
განაც XV საუკუნის არსებობის დროს ეს ეკ-
ლესია განიცდიდა კიდევ მეტ გაჭივრებას, ვი-
დრე ეხლა, მაგრამ ყოველთვინ იყვნენ ღირ-
სნი მწყემსნი, რომელთაც შეეძლოთ ემწყემ-
სათ სიტყვიერი სამწყსო, წინ გასძლოლოდენ
მათ და დაეცვათ სხვა რჯულის ხალხთაგან,
შეიმუშავეს კრებული ადგილობრივი საეკლე-
სიო კანონებისა, ყოველთვის იუვლებოდენ
„უმართლმადიდებელესებათ“ (იხ. პროკთფი II წ.
ვალსმმონი XII საუკ. და სხვ.), უღირსეულეს
შევრებათ მსოფლიო ეკლესიისა, რომლის
ცხოვრებაშიდაც იღებდენ დიდ მონაწილეობას
და შეჰქონდათ მასში თავისი საუნჯე სასული-
ერო და მატერიალური. საქართველოს სამღვ-

დელოება ახლა არის გამსჭვალული იმავე ქრისტიანული იდეალებით და სარწმუნოებაზე და სამშობლო ეკლესიაზე გულს მოდგინებით, როგორც მისი წინაპარნი—მოღვაწენი, მოწამენი და მღვდელ-მთავარნი; მის წევრთა შორის არის ათობით იმპერიის უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი და ასობით, რომელთაც მიუღიათ განათლება სასულიერო სემინარიებში და სასწავლებლებში. თუმცა მე **XIX** საუკუნეში საქართველოს სამღვდელოებას არ ჰქონია დამრუკიდებელი ეკლესიის თვითმართველობა, მაგრამ, როგორც კულტურისაგან წოდებას, მას ჩქარა შეუძლია ეხლა შეეჩიოს საეკლესიო საქმეების პრაქტიკულად აღსრულებას. ის ავტოკეფალიისაგან არ მოელის არც შემოსავლის მომატებას, არც შრომისა და ზრუნვის შემცირებას, მაგრამ სარწმუნოება და ეკლესია ამისაგან უკეთელად შეიმატებენ. სამწყსოს სულის ცხონება-კი — უმთავრესი მიზანი და დანიშნულებაა დედამიწაზე ეკლესიისა და მის მსახურთა არსებობისა.

ყველაზე პირველათ ეხლა საჭიროა აღვიარება პრინციპიალურად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა, შემდეგში-კი კომისიამ, შემდგარმა სამღვდელოებისა და სამწყსოს თავისუფლათ ამორჩეულ წევრებისა-

გან უნდა შეიმუშაოს ვრცლათ საფუძველი
საეკლესიო თვითმართველობის პრაქტიკულათ
განხორციელებისა და მისი რუსეთის ეკლესია-
სთან და რუს მცხოვრებთან კავკასიაში და-
მოკიდებულებისა. ივერიის საეკლესიო ოლქში
ცოტაა რუსები სოფლის მცხოვრებთა შორის,
არის მარტო მოსამსახურენი ქალაქებში და
მართველობაში, რომელთათვისაც შესაძლოა
იყვნენ რუსი მღვდლები, ან ქართველები,
მცოდნენი რუსული ენისა. სამხედრო მღვდ-
ლები არ ემორჩილებიან უწმ. სინოდს, იგინი
შემდეგშიაც იქნებიან უწყებაში სამხედრო
პროტო-პრესვიტერისა, როგორც ეხდა. მწვა-
ლებელთ, რუს—მოლაკანთ, დუხობორებს
და სხვ. ჰყავთ თავიანთი მღვდლები, ამას გა-
რდა საქართველოში შესაძლოა იყოს, რასა-
კვირველია, რუსი ეპისკოპოზი, მაგრამ თუ ის
იქნება დამოუკიდებელი ეგზარხოსის მიტრო-
პოლიტის, ან კიდევ არქიეპოსკოპოზის ხარისხში,
ერთ ქალაქში ქათალიკოსთან, რაც აკრძალუ-
ლია საეკლესიო კანონების ძალით, შეტაკება
თითქმის აუცილებელი იქნება, რადგანაც რუ-
სები მიემხრობიან თავის მწყემსმთავარს, ქა-
რთველები-კი თივისას და დაიწყება განხეთქი-
ლება და შუღლი, რასაც უნდა ვერიდებო-
დეთ. მართლმადიდებელ ბერძნებს შეუძლიათ
იყოლიონ, როგორც წინეთ, თავიანთი მღვდ-

ლები, აგრეთვე ოსებს, მორჩილთ ქათალიკოსისა. ყველა დანარჩენთ სხვა სარწმუნოებათა მიმდევართ შეუძლიათ, როგორც ადრე, აღასრულონ თავიანთი წესები, ჩვეულებანი და ღვთის მსახურება დაუბრკოლებლათ ძველებურის იმ გვარად სარწმუნოებათა შეწყნარებით, რომლითაც განირჩეოდა ყოველთვის საქართველო და რასაც მოწმობენ მოგზაურნი, მყოფნი საქართველოში, მაგალ., ცნობილი შარდენი მე XVII საუკუნეში, რაზედაც აგრეთვე მოწმობენ საეკლესიო და სამოქალაქო კანონები მეფე ვახტანგ VI, რომელშიდაც არ არის არც ერთი მუხლი, შემზღვეველი საქართველოს მცხოვრებთ სარწმუნოებრივ უფლებათა, ქრისტიანთა და არა ქრისტიანთა.

რადგანაც ივერიის ეკლესია ძველათაც იყო ერთი და განუყოფელი, ამისთვის ამ საეკლესიო ოლქში უნდა იყოს ერთი ქათალიკოსი, 1) სივრცე საქართველოსი დიდი არ არის, — ორი — სამი გუბერნიაა, 2) ასეთია სურვილი სამლენელოებისა და ხალხისა, 3) საქართველოს, რუსეთთან შეერთების წინ იყო მარტო ერთი ქათალიკოსი, 4) შენახვა ორი საქათალიკოსო (უწყების დაჯდება ძვირად და 5) თუ ზოგჯერ კიდევაც იყვნენ ორი ქათალიკოსი, ეს იმ მშეზეის გამო, რომ საქართველო იყო განყოფილი სამ სამეფოდ და რა-

მოდენიმე სამთავროდ, რომელთაგანაც თვი-
თეულს მეფეს სურდა თავის სამეფოში ჰყა-
ლებოდა დამოუკიდებელი ეკლესიის თავი.

ჩამომავლობით სხვა და სხვაობა საქართ-
ველოს საეკლესიო ოლქის მცხოვრებთა ვერ
დააბრკოლებს ავტოკეფალიის განხორციელე-
ბას, როგორც არ აბრკოლებდა უწინ, რო-
დესაც საქართველოში სცხოვრობდენ თითქ-
მის უკელა. იგივე წარმომადგენლები სხვა და
სხვა ტომთა, როგორც ახლო რუსეთშია ეს,
როგორც მოწმობს შარდენი ¹⁾), რომელნიც
თავის სავაჭრო საქმეების გამოშე **XVII – XVIII**
საუკუნოებში სცხოვრობდენ საქართველოს
ქალაქებში და დაუბრკოლებლათ ვაჭრობდენ.
ასე რომ მაგალ., პოტემკინი სამხრეთ რუ-
სეთში ყოფნის დროს, იწერავდა მე **XVIII**
საუკუნეში ბერების გადასახლებას თავის საჭიროები-

En Geogrie chacum a la liberté de
vivre dans sa religion et dans ses coutu-
mes, d'en discourir et de les défendre.
On y voit des armeniens, des grecs, des
juifs, des tures, des persans, des indiens des tar-
tares, des Moscovites et des Europeans. Voya-
ges de Chardéens en Perse (autres lieux de l'
Orient. t. 2 p. 130.) Amsterdam 1711.

სათვის არა მოსკოვიდან, არამედ თფილისიდგან რუს ვაჭართაგან ²⁾).

ამასთანავე არც ძველათ, და არც ჩვენ დროში არ ყოფილა და არ არის თითქმის არც ერთი დამოუკიდებელი საეკლესიო ოლქი, დასახლებული განსაკუთრებით მარტო ერთი ტომისაგან, მაგრამ ეს არ აბრკოლებს ეკლესიების ავტოკეფალიის განხორციელებას. ხომ „შაბათი კაცისათვის იქმნა“. (მარკ. II თავი 27 სტ.) და არა წინაუკმოდ, ამისათვის „ყოველი საშვალებით უნდა ვიღვაწოთ კაცის ცხონებისა და უშიშრობისათვის“ (88 კან. VI მსოფლ. კრებ.), როგორც ქრისტიანისა და მოვამარჯვოთ საეკლესიო გამგეობა ადგილობით მოთხოვნილებას და ჩვეულებას ეკლესიისას.

ერთი არსებითი პირობათაგანი საქართველოს ავტოკეფალიის განხორციელებისათვის არის გამოძიება საშვალებათა შესანახად სამღვდელოებისა და საეკლესიო დაწესებულებათა საქართველოში. საქართველოს ეკლესია ძველათ უხვათ იყო უზრუნველყოფილი ყველაფრით, რაც საჭირო იყო მის მატერიალუ-

2) ახალი მასალები ცხოვრების აღწერისა და მოქმედებისა ს. დ. ბურნაშევისა, რომელიც იყო საქართველოში რუსეთის ეპისტად 1783—1787 წ. შედგენილია ს. ბ. ბურნაშევისაგან პროფ. ა. ა. ცაგარელის რედაქციით. პეტერბურგი, 1906 წ.

რად არსებობისათვის, აგრეთვე თავის მიზანი-
სა და მოწოდების აღსრულებისათვის, მაგრამ
ეს საშვალება დაშრა, გამოილია მას შემდეგ,
რაც მის კანონიურმა გამგემ და მფლობელმა—
ქათალიკოსმა შესწყვიტა არსებობა და რუსე-
თის ეგზარხები შევიდენ დაქვრიცებულ ეკლე-
სიის ქონების მართველობაში, განსაკუთრებით
მე XIX საუკუნის 20 წლ. ეგზარხოს ფეოფი-
ლაქტის მართველობის დროს. ზნეობრივი გა-
ჩანაგება, რომელიც ცხადია ეხლა საქართვე-
ლოს ეკლესიის სამწყსოში და სამღვდელოე-
ბაში, არის პირდაპირი შედეგი მის მატერია-
ლური გაჩანაგებისა. ქართველებს სრულებით
არ შეუძლიათ წარმოიდგინონ, როგორ თუ
ეს ქონები შეწირული ეკლესიისადმი კეთილ
მსახურ მეფეებისაგან, დარბაისელთაგან და
მდაბიო ხალხისაგან ძველი დროიდგან, და
ლამტკიცებული საკუთარი ოქმებით თითქმის
ყველა ხმლით დამჰყრობელთაგან—სპარსელე-
ბისაგან, არაბებისაგან, მონგოლებისაგან და თა-
თრებისაგან შესაძლო იყო ჩამორთმეოდა ეკლე-
სიას მართლმადიდებელ რუსის გამგეობის დროს
და მისყიდულიყო ვისაც კი სურდა ყიდვა ხშირად
იმ დღილებზე თავ-შესაქცევ სადგომის გასა-
მართავად! ძველებური მოწიწება ასეთ სამღვთო
საგნებზე სრულიად დაეკარგა ხალხს, რის გამოც
საქართველოს მეფეებმა შეწირულება ეკლესიებ-

ში სულის მოსახსენებლათ, რაზედაც უხვი იყვნენ
წინა საუკუნეებში, მე XIX საუკუნეში სრულე-
ბით შესწყვიტეს. აი სად ირის ნამდვილი წყარო
ასე ცნობილი ქართული ნილილიზმისა, სეპა-
რატიზმისა და სოციალიზმისა ეკსპროპრიატუ-
ლი მიღრეკილებით.... რაზედაც ძველი ქარ-
თველები ფიქრსაც ვერ ბედავდნენ, რაც მა-
გალითად რუსეთში სრულდებოდა საუკუნეე-
ბით (XVI—XVII საუკ.). საქართველოში ეს
მოხდა ერთბაშათ. ამასთანავე მზრუნველთაგან
და არა კანონიურ მფლობელთაგან ახლა ვე-
ძიებთ საშვალებას საქართველოს ეკლესიის და
სამღვდელოების შესანახად, მაგრამ როგორ?
დაჯილდოებულია თუ არა საქართველოს ეკ-
ლესია საეკლესიო გლეხთა განთავისუფლებისა-
თვის? კომისიას მოუხდება შტკიცედ მოიფიქ-
როს ამაზე. იპოება, რასაკვირველია, საშვა-
ლება ადგილობითი სასულიერო და სამოქა-
ლაქო შამოსავლისაგან, რადგანაც ეკლესია
ამასთანავე არის ერთი უდიადესთაგან. ინსტი-
ტუტი სახელმწიფოს ცხოვრებისა. საქართვე-
ლო არ არის განახებული ისტორიისაგან, ის
არ არის მიჩვეული იცხოვროს სხვის ხარჯზე
არც საეკლესიო და არც სამოქალაქო მხრივ.
ცნობილია, რომ ქართველები უნებლიერ
სტოვებინ თავის სამშობლოს თუ-კი შიგნით
რუსეთის გუბერნიებში მოიპოვება. რამდენიმე

მოსამსახურე ქართველი, არა მქონე არავითა-
რი უაღრესობის, რუსებთან შედარებით, სა-
ქართველოში ძველის დროიდგან სცხოვრო-
ბენ ითასობით რუსები და სხვა ტომის ხალ-
ხი, რომლებიც, თუმცა სარგებლობენ სამსა-
ხურით და სხვა პატივით, მაინც ჰქონებიან მის
შესახებ უმაღლურები. ამისათვის დეკანოზი ბუ-
ტკევიჩი გადაიტანს ავათმყოფობას თავის თა-
ვიდან სალზე, სიმართლე არ მიუძღვის წინ,
როდესაც სცდილობს „აჩვენოს მდაბალი და
აღსაშფოთებელი უმაღლურება რამოდენიმე ქარ-
თველ სამღვდელოების წარმომადგენელთა, რო-
მლებიც ვითომდა კ ყოველთვის სცხოვრობდენ
რუსეთის ხალხისა და მართველობის საჩუქრე-
ბით იოანნე III მთავრის დროიდგან“.*.)

*) წიგნაკი: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფა-
ლიის საკითხი, შესახებ, დეკან. ბუტკევიჩი. ხარკოვი
1906 წ. 73 გვ.

შემდგრება იქნება დაუბრუნდე გარჩევას ამ წიგნა-
კისას, რომლისაც თითქმის თითოეული სტრიქონი მო-
ითხოვს პასუხის მიცემას, მე აქ ვიტყვი მხოლოდ რა-
მოდენიმე სიტყვას: როგორც ნათქვამია მოსამართლეთა
განაჩენ წი, ავტორს ჰქონდა მინდობილი მე II განყო-
ფილებისაგან მოყვანა ცნობაში არქივის საბუთის წი-
გნებისა მე XVIII საუკ. ბოლო და მე XIX დასაწყის
საუკუნეებისა, რომლებიც ინახებიან სინოდის არქივში
და ეხებიან საქართველოს, უმეტესი ნაწილი რომლე-
ბისაც უკვე დაბეჭდილია და $\frac{2}{3}$ ბუტკევიჩის მცირე
თხზულებისა არის მიმართული ისეთ საკითხებზე, რო-

ეს ოკნება მოწმობს არა მარტო ავტო-
რის ღრმა უმეცრებაზე საეკლესიო ისტორია-
ში რუსეთისა, საქართველოისა, აგრეთვე რუ-
სეთის სამოქმლაჭო ისტორიაში, არამედ მას
დიდ მიღრეკილებაზედაც — „ივაჭროს ჭეშმა-
რატებით“. (2 კან. II მსოფლ. კრ.).



მელთაც არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება. მინ-
დობილ წინადადებასთან. გაუგებარია, რისთვის ავტორ-
მა იდვა თავის თავზე ამ შრომის აღსრულება; სკოდნია
მას წინეთ საქართველოს საეკლესიო ისტორია, ანუ თუ
უცხოვრია საქართველოში? ამას გარდა არა სჩანს. ამ
წიგნაკიყან: მოახსენა თუ არა მან ეს საბუთის წიგ-
ნები მე II განყოფილებას წინეთ, დაბეჭვდამდის, რო-
გორც ჯერ იყო, მარტო ცნობილია, რომ მან თავის
თხზულება დაბეჭდა პირველათ უურნალში „ვერა ი რა-
ზუმ“ 1606 წ. შემდეგ გამოსცა ცალკე წიგნაკათ და
ახლა იბეჭდება მე II განყოფილების წევრთა განაჩენში,
მაშასადამე, იმას ეძლევა რამოდენიმე მნიშვნელობა. აი
რას ამბობს ის თავის შრომის დასასრულში: (76 გვ.)
„ვიმეორებ ჩემ რწმენას — საკითხი საქართველოს ეკკლე-
სიის ავტოკეფალიისა აღძრულია არა საეკლესიო ინ-
ტერესების გამო, არამედ პოლიტიკურისა... მაგრამ
ქართველთა პოლიტიკურ მისწრაფებას უნდა ედაონ
რუსეთის სამოქალაჭო მართველობის მოხელენი და არა
საეკლესიო კრება.

რასაკვირველია, თვითოვეულ საკითხში, რომელიც
ეხება საეკლესიო მართველობას, საქართველოს საქათა-

ლიკოსო იქნება ეს, თუ რუსეთის საპატრიიარქო, არის
პოლიტიკური, სახელმწიფური მხარევი, მაგრამ ამის
განსახილველათ არიან კანონიერი და, მცოდნე პირნი
და პრავის არ მიუნდვია არც ბუტკევიჩისათვის, არც
კრების წინასწარ დასწრებისათვის და არც მომავალ
საეკლესიო კრებისათვის განიხილონ საეკლესიო კით-
ხვები პოლიტიკური და არა საეკლესიო — კანონიური
მხრივ. თუ კი მე II განყოფილება თანახმა არის. ბუტ-
კევიჩის აზრზე, მან უნდა უარი სთქვას, შეკრიბოს და
განიხილოს მასალები საქართველოს ეკლესიის ავტოკე-
ფალის აღდგენაზე და გადასცეს ეს საქმე სამოქალაქო
უწყებას. ძლიერ სამწუხაროა, რომ ბუტკევიჩს ასე
უყვარს პოლიტიკოსობა. კიდევაც ამან დაუშალა მას აღ-
სრულებინა თავისი მოვალეობა. პოლიტიკაზე ცოტა
და ბევრი საეკლესიო მხარეზე და მაშინ შეიძლება ში-
ზანს მიეღწია. რასაკვირველია, ტალიირანი ანაფორაში
იყო დიდი პოლიტიკოსი და დიპლომატი, მაგრამ ყვე-
ლას-კი, ვისაც აცვია ანაფორა, არ შეუძლია გასწიოს
ტალეირანობა... .



განცხადება.

დაიბეჭდა და უდება „შინაური საქმეების“
გამოცემა.

ავტორი ვ. ი. თ. ი. რ. ც.

მოს კულ-კომის.

ნუსალიზან გადმოთან განილი.

ფასი ერთი შაური.

947.922
B 133

3 - 985
20/11